საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# თუალთა

თუალთა, X–XI სს. ქართული სავანე შავ მთაზე. ზოგი მეცნიერი (პ. პეეტერსი, მ. თარხნიშვილი) მას წყაროთა მონასტერს უწოდებს („თუალად ითქმის წყაროთა გამოსადინებელი..." – საბა). აქაურ მოღვაწეთაგან ცნობილია ილარიონ თუალელი, გიორგი ათონელის პირველი მოძღვარი. თ-ის მონასტერში მდიდარი ბიბლიოთეკა ყოფილა, რ-ითაც ხშირად სარგებლობდა ეფრემ მცირე.

*ლიტ.*: მ ე ნ ა ბ დ ე  ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 2, თბ., 1980.